ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01181713300**

თარიღი: **20.06.2018**

ადრესატი:
თეონა ახალაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური - III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენი 2018 წლის 20 ივნისის #60-0118171565 წერილი, რომლითაც ითხოვთ, ქ.თბილისში, რუსთავის გზატკეცილი #68ა (ს.კ.: 01.18.13.033.018) შპს „კლინტექ“-ის სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ალტერნატიული გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, გასამწვანებელი ხე-მცენარეების რაოდენობა (ახალი გამწვანებული სივრცის მოსაწყობად გასაშენებელი ხე-მცენარეების რაოდენობა - 2 ძირი იტალიური ფიჭვი, 3 ძირი თათრული ნეკერჩხალი, 6 ძირი ჩვეულებრივი ნუში, 10 ძირი არიზონას კვიპაროსი, 175 ძირი დასავლეთის ტუია და 339 კვ.მ ბალახის საფარი) სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (339 კვ.მ), გასამწვანებლად შემოთავაზებულია ხე-ბუჩქოვანი მცენარეების მრავალფეროვანი სახეობები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, ამდენად, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის მე-51 პუნქტი).

პატივისცემით,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გიგა გიგაშვილი